10	[illegible]	[illegible]	[illegible]
11	[illegible]	[illegible]	[illegible]
12	[illegible]	[illegible]	[illegible]
13	[illegible]	[illegible]	[illegible]
14	[illegible]	[illegible]	[illegible]
15	[illegible]	[illegible]	[illegible]
16	[illegible]	[illegible]	[illegible]
17	[illegible]	[illegible]	[illegible]
18	[illegible]	[illegible]	[illegible]
19	[illegible]	[illegible]	[illegible]
20	[illegible]	[illegible]	[illegible]
21	[illegible]	[illegible]	[illegible]
22	[illegible]	[illegible]	[illegible]
23	[illegible]	[illegible]	[illegible]
24	[illegible]	[illegible]	[illegible]
25	[illegible]	[illegible]	[illegible]
26	[illegible]	[illegible]	[illegible]
27	[illegible]	[illegible]	[illegible]
28	[illegible]	[illegible]	[illegible]
29	[illegible]	[illegible]	[illegible]
30	[illegible]	[illegible]	[illegible]
31	[illegible]	[illegible]	[illegible]
32	[illegible]	[illegible]	[illegible]
33	[illegible]	[illegible]	[illegible]
34	[illegible]	[illegible]	[illegible]
35	[illegible]	[illegible]	[illegible]
36	[illegible]	[illegible]	[illegible]
37	[illegible]	[illegible]	[illegible]
38	[illegible]	[illegible]	[illegible]
39	[illegible]	[illegible]	[illegible]
40	[illegible]	[illegible]	[illegible]
41	[illegible]	[illegible]	[illegible]
42	[illegible]	[illegible]	[illegible]
43	[illegible]	[illegible]	[illegible]
44	[illegible]	150	[illegible]
45	[illegible]	[illegible]	[illegible]
46	[illegible]	[illegible]	[illegible]
47	[illegible]	[illegible]	[illegible]
48	[illegible]	[illegible]	[illegible]
49	[illegible]	[illegible]	
50	[illegible]	[illegible]	[illegible]
51	[illegible]	[illegible]	
52	[illegible]	[illegible]	
53	[illegible]	[illegible]	[illegible]
54	[illegible]	[illegible]	[illegible]
55	[illegible]	[illegible]	[illegible]
56	[illegible]	[illegible]	[illegible]
57	[illegible]	[illegible]	
58	[illegible]	[illegible]	[illegible]
59	[illegible]	[illegible]	
60	[illegible]	[illegible]	[illegible]
61	[illegible]	[illegible]	[illegible]
62	[illegible]	[illegible]	[illegible]
63	[illegible]	[illegible]	[illegible]
64	[illegible]	[illegible]	[illegible]
65	[illegible]	[illegible]	[illegible]
66	[illegible]	[illegible]	[illegible]
67	[illegible]	[illegible]	[illegible]
68	[illegible]	[illegible]	[illegible]

დასაძმების სახელმწიფო სამსახურის ქ. თბილისის რაიონული განყოფილებები თავისუფალი სამუშაო ადგილების შესახებ ინფორმაციას გასცემენ დასაქმების სამსახურში რეგისტრირებულ სამუშაოს მაძიებლებზე. რეგისტრაციისთვის მოქალაქემ რაიონულ განყოფილებაში უნდა წარმოადგინოს: ა) პირადობის მოწმობა (პასპორტი); ბ) შრომის წიგნაკი; გ) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (დიპლომი);

დასაძმების სახელმწიფო სამსახურის ქ. თბილისის რაიონული განყოფილებები განთავსებულია:

დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული განყოფილება – დავით აღმაშენებლის 140-ა გამგეობის შენობა, I სართ. ტ. 94-24-98.

ისანი-სამგორის რაიონული განყოფილება – ავლაბრის ქ. 34,მეტრო „ავლაბრის" მიმდებარე ტერიტორია.

მთაწმინდა-კრწანისის რაიონული განყოფილება – ტ. გულუას I. გამგეობის შენობა, IV სართ. ტ. 72-01-30.

ვაკე-საბურთალოს რაიონული განყოფილება – კოსტავას 68-ა, გამგეობის შენობა, II სართ. ტ. 33-23-97.

გლდანი-ნაძალადევის რაიონული განყოფილება – სარაჯიშვილის 1. გამგეობის შენობა, II სართ. ტ. 62-59-92.

განათლების მუშაკთა პროფკავშირი

მასწავლებელთა ვალს გასტუმრება უნდა

რედაქციამ მიიღო საქართველოს განათლების მუშაკთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარის მანანა კობახიძის წერილი, რომლის ადრესაგიც საქართველოს ფინანსთა მინისტრი მირიან ფოფიაშვილია და, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია:

საქართველოს განათლების მუშაკთა პროფესიული კავშირის ხელმძღვანელობამ ამა წლის 26 მარტს გაახლათ წერილი, რომელშიც საუბარი იყო განათლების დარგის მუშაკთა პრობლემებზე, რომლებიც, სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო, უსვად დაგროვდა. ქვეყნის პირველი ფინანსისტისაგან ვითხოვდით ინფორმაციას მოსალოდნელი სიახლეებისა და პრეზიდენტის დანაპირების აღსრულების თაობაზე. გაფიქრებაც კი გვიჭირს, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ ჩვენმა წერილმა ვერ მოაღწია თქვენამდე; სხვა შემთხვევაში სრულიად აუხსნელია ის ფაქტი, რომ პასუხი წერილში დასმულ საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც ქვეყნის ათასობით განათლების მუშაკს აწუხებს, უყურადღებოდ დაგრჩენოდათ. ობიექტურ გარემოებათა გამო ვერ მოხერხდა თქვენთან პირისპირ შეხვედრაც (მიუხედავად იმისა, რომ იყო პრეზიდენტის დავალება).

რამდენიმე კვირა და, მასწავლებლობისთვის დასრულდება სამუშაო წელი. იწყება საბაჯაჯო არდადეგები და უპასუხოდ რჩება უამრავი საკითხი, რომლებიც იმდენად ცხოვრებისეულია მათთვის, რომ გაურკვევლობა განგაშს იწვევს.

საქართველოს მასწავლებლობას აინტერესებს, რაგომ არ გაწერს ფინანსთა სამინისტრო რეგიონების მიხედვით ბიუჯეტში ჩასმულ 10,5 მილიონ ლარს, რომელიც გამიზნულია 2003 წლის 1 სექტემბრიდან პედაგოგთა ხელფასების 30 პროცენტით გაზრდის უზრუნველსაყოფად. გაურკვეველია ისიც, თუ როდის დაიწყებს სახელმწიფო პედაგოგთა სახელფასო დავალიანებების დაფარვას, რომელიც, ჩვენი მონაცემებით, დღეისათვის 22 მილიონ ლარს აჭარბებს; რაგომ ხდება, რომ დაცული მუხლები, როგორც აცხადებენ, ბიუჯეტში სრულდება, მაგრამ სახელმწიფოს ვალი პედაგოგების მიმართ შემცირების ნაცვლად იზრდება?!

ბაგონო მირიან, ხელფასების 30-პროცენტიანმა მატებამ, რომელიც შარშან განხორციელდა, პედაგოგური საზოგადოების გაღიზიანება უფრო გამოიწვია, ვიდრე კმაყოფილება, რადგანაც თანხებში გამოსაცული მატება მხოლოდ 6-7 ლარს შეადგენს. ასევე მეგად უმნიშვნელოდ მიიჩნევენ პედაგოგები მიმდინარე წლის 1 სექტემბრიდან ხელფასების 30-პროცენტიანს გაზრდასაც, რადგანაც მასწავლებლის საშუალო ხელფასი მხოლოდ 60 ლარს მიუახლოვდება და ისევ ჩაუცმელ-დაუსურავი, მშიერი პედაგოგი შერნება სკოლას და საზოგადოებას დ, რაც მთავარია, ასეთ ვითარებაში აღმზრდელი, სურვილის მიუხედავად, ვერ იქნება შემოქმედი.

საქართველოს პრეზიდენტის საჯარო განცხადების მიუხედავად, რომ 20-პროცენტიანი შემცირება განათლების მუშაკებს არ შეეხებოდა, ადგილებზე ფინანსური სამსახურები დაბეჯითებით მოითხოვენ აღნიშნული შემცირების რეალიზებას.

მომდინარე წლის 30 მაისს, საქართველოს პროფესიული კავშირების საბჭოს სხდომაზე, სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ აკაკი ზოიძემ მთელი კაბეგორიულობით დაგვიმოწმა პრეზიდენტის პოზიცია. რეალური ვითარება კი არსებითად განსხვავებულია. ეფიქრობთ, ისედაც სიდუხჭირეში მყოფი ადამიანებისათვის დადებითად გადაწყვეტილი საკითხი ნათელი უნდა იყოს და მაგლიერების გრძნობას იწვევდეს.

შარშანდელ მაის-ივნისში მასწავლებელთა წინა წლების დავალიანებების დასაფარავად, არასაკმარისად, მაგრამ მაინც გამოინახა 15 მილიონი ლარი, გაიბარდა ხელფასები 30 პროცენტით, ხოლო წლეულს გასული წლების დავალიანებების დაფარვის კონკრეტული ვადები განსაზღვრული არ არის. თუ დამოკიდებულება მასწავლებლობის მიმართ ასე გაგრძელდა, შედეგების გათვლა არ უნდა იყოს რთული: გარდუვალია, რომ უკმაყოფილება გამოისახგება პედაგოგთა მასობრივ გამოსვლებში და სხვა საპროტესტო აქციებში, სადაც, სავარაუდოა, რომ მასწავლებლობა წამოაყენებს მეტად მწვავე მოთხოვნებს.

გთხოვთ, გამონახოთ დრო ნამდვილად რთულ მდგომარეობაში მყოფმა მინისტრმა და შეხვდეთ ქვეყნის პედაგოგიური საზოგადოების წარმომადგენლებს (40-50-კაციანი ჯგუფი) და პირისპირ შეხვედრისას გაგვაცნოთ საქმის ვითარება, ან განვიხილოთ ალტერნატიული ვარიანტი. წინააღმდეგ შემთხვევაში, პროფესიული კავშირი ვალდებულია, კანონით მინიჭებული ყველა საშუალება აამოქმედოს უმძიმესი სოციალური დარტყმის ქვეშ მყოფი მასწავლებლობის დასაცავად.

მანანა კობახიძე.

ბიუჯეტი

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

სახაზინო სამსახური

ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ოპერატიული ინფორმაციის მიხედვით მიმდინარე წლის 3-6 ივნისის პერიოდში ცენტრალური ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯმა შეადგინა:

4 887.3 ათასი ლარი

1. ავგომაგურ რეჟიმში და ბიუჯეტის წესით ჩამოჭრილი თანხები – 379.7 ათასი ლარი:

- დისკონტი – 357.9 ათასი ლარი;

- სასამართლო გადაწყვეტილებით ჩამოჭრილი თანხები – 21.8 ათასი ლარი;

2. 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დაცული მუხლები – 3 958.6 ათასი ლარი;

სამეურვეო ორგანიზაციების მაესის ფონდის შრომის ანაზღაურება – 1 974.6 ათასი ლარი;

- სკოლა-ინტერნატებისა და ბავშვთა სახლების – 205.0 ათასი ლარი;
- საქართველოს პარლამენტი – 452.6 ათასი ლარი;
- უმაღლესი სასწავლებლები – 1 317.0 ათასი ლარი;

საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი (შრომის ანაზღაურება – წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა) – 51.0 ათასი ლარი;

გრანსფერი ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებს (მაისის თვის) – 1 933.0 ათასი ლარი;

3. 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დანარჩენი ხარჯები – 549.0 ათასი ლარი;

სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების შენატანი – 492.0 ათასი ლარი:

- ეროვნული საინვესტიციო სააგენტო (ჩაის პროგრამა) – 29.0 ათასი ლარი;
- შინაგან საქმეთა სამინისტრო – 50.0 ათასი ლარი;
- თავდაცვის სამინისტრო – 374.3 ათასი ლარი;
- საგაჟო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტი – 1.0 ათასი ლარი;
- დაბეგვრის სახელმწიფო დეპარტამენტი – 10.8 ათასი ლარი;
- იუსტიციის საბჭო – 6.5 ათასი ლარი;
- იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტი – 11.8 ათასი ლარი;
- საქართველოს პარლამენტი – 7.8 ათასი ლარი;
- გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო – 0.8 ათასი ლარი;

სამეურვეო ორგანიზაციების სამეფლინფო ხარჯები – 57.0 ათასი ლარი;

- შინაგან საქმეთა სამინისტრო – 50.0 ათასი ლარი;
- საქართველოს პარლამენტი – 7.0 ათასი ლარი;

სულ ხარჯი: 4 887.3 ათასი ლარი;

1 აპრილიდან რეფორმა და ბიუჯეტის წესით ჩამოჭრილი თანხები – 379.7ათასი ლარი:

- **დისკონტი – 357.9 ათასი ლარი;**
- **სასამართლოს გადაწყვეტილებებით ჩამოჭრილი თანხები – 21.8 ათასი ლარი;**

2. 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დაცული მუხლები – 3 958.6 ათასი ლარი;

3. 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დანარჩენი ხარჯები – 549.0 ათასი ლარი;

- **სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების შენატანი – 492.0 ათასი ლარი;**
- **მიელინება – 57.0 ათასი ლარი;**

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური.

ეგოიზმი ეკონომიკურ ზრდას ანგრევს

**ეროვნული ბანკი ინფლაციურ ზეწოლას ეგოიზმად აფასებ

მასმედიისა და საზოგადოებრივი კომუნიკაციების ინსტიტუტი

ვისაც გსურთ, ჩაწვდეთ პრესისა და ელექტრონული მედიის ყველა საიდუმლოს, დაეუფლოთ წერისა და კომუნიკაციის ისეთ მეთოდებს, რომლებიც გაბრდილი კონკურენციის პირობებში უზრუნველყოფს თქვენს სერიოზულ წარმატებას ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, ვისაც გსურთ კონკურენტუნარიანი, ინტეგრირებულ სწავლებასა და თანამედროვე მეთოდოლოგიურ ტექნოლოგიებზე დამყარებული სპეციალობების დაუფლება შემოქმედებით აგმოსფეროში და საინტერესო სტუდენტური ცხოვრება, რომელიც ასევე თქვენი მომავალი საინტერესო სამსახურის საფუძველი გახდება, მობრძანდით მასმედიისა და საზოგადოებრივი კომუნიკაციების ინსტიტუტში.

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკის“, ქართული ლიტერატურისა და პოლიტოლოგიის ინსტიტუტების ბაზაზე დაარსებული ინსტიტუტი დიფერენციირებული, დარგობრივი პრინციპით ამზადებს ჟურნალისტებს შემდეგ სპეციალობებში:

1. ჟურნალისტიკა (პრესა და რადიო-ტელევიზია);
2. საერთაშორისო და პოლიტიკური ჟურნალისტიკა;
3. მასმედია და საზოგადოებასთან ურთიერთობები;
4. ტელე-რადიოჟურნალისტიკა (გადაცემათა ავტორი და წამყვანი) და სარეჟისორო ხელოვნება;
5. საერთაშორისო ჟურნალისტიკა და პოლიტოლოგია-კონფლიქტოლოგია;
6. საერთაშორისო ჟურნალისტიკა და სამართალი (პრესსამუდსმენი და ჟურნალისტური გამოძიება);
7. სამართალმცოდნეობა და საზოგადოებასთან ურთიერთობები (სიტყვის თავისუფლება და ადამიანთა უფლებების დაცვა);
8. ენა, ლიტერატურა და ჟურნალისტიკა (მასმედია და ქართულ-ევროპული ფილოლოგია);
9. ტურიზმი და საზოგადოებასთან ურთიერთობები;
10. ეკონომიკა და საზოგადოებასთან ურთიერთობები;
11. საერთაშორისო ჟურნალისტიკა და ეკონომიკური ურთიერთობები;

ინსტიტუტს შემოქმედებითი კონტაქტები აქვს დამყარებული სხვადასხვა ტელეკომპანიასთან.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია გამოყენებული იქნება ბაზად სწავლისა და პრაქტიკების პროცესში. წარჩინებულ სტუდენტებს დაენიშნებათ სტიპენდიები.

ლიტერატურისა და პოლიტოლოგიის ინსტიტუტების მაღალკვალიფიციური პროფესორ-მასწავლებლების, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ და ტელეკომპანიების პროფესიონალი ჟურნალისტების წყალობით სტუდენტებს საშუალება ექნებათ, მიიღონ სრულყოფილი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა.

ჟურნალისტიკის სასწავლო-შემოქმედებითი სახელოსნოს ხელმძღვანელია გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მთავარი რედაქტორი, პროფესორი **ბრმაზ სანებლიძე.**

ინსტიტუტში სწავლება ორსაფეხურიანია. ოთხწლიანი **ბაკალავრიატი** და ერთწლიანი **მაგისტრატურა** (სამაგისტრო პროგრამის მოდულია „მასმედია და საზოგადოება“).

ინსტიტუტის კურსდამთავრებულებს საშუალება ექნებათ, სწავლა განაგრძონ ლიტერატურისა და პოლიტოლოგიის ინსტიტუტების ასპირანტურაში.

მასმედიისა და საზოგადოებრივი კომუნიკაციების ინსტიტუტს აქვს **მოსაზღვარე ბანყოფილება, ფილიალები ოზურგეთისა და სამტრედიაში, მრავალდარგოვანი კოლეჯი „იმედი“** შემდეგი სპეციალობებით: **1. უსხო ენები დაწყებით კლასებში, 2. სოციალური უზრუნველყოფა, სავარჯიშო და ორგანიზაცია, 3. რეჟისორის ასისტენტი, 4. დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება (ქსოვა, ფარდაგი, ბოგელები, ჯეჯიმი, პაჭიჭი, თეძა, მოთეღვა, ბაბიეა, სხს მსაგვრული დამუშავება, ჭედური და საოქროჭედლი ხელოვნება, ოქროკედლი ქარგვა, დიზაინი, მოდელირება), 5. ბეჭდვითი წარმოება, 6. ოფისის რეფერენტი, 7. საბაღსასახლო საქმე, 8. საბანკო საქმე, 9. საბუღალტრო აღრიცხვა.**

განცხადებები მიიღება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციაში 1 ივნისიდან მისამართზე: მ. კოსტავას ქ. 14, IV სართული, ოთ. 18, ტელ: 93-26-99; 93-35-99; 38-94-33.

ინსტიტუტში სწავლის ღირებულებაა 300 დოლარის ექვივალენტი ლარებში, სოლო კოლეჯში – 200 დოლარი.

გამომცემლობა „ნაკადულის“ თანამშრომელთა მიმართვა ქართველი ბიზნესმენებისადმი

ბატონო ბიზნესმენებო, საყოველთაოდ ცნობილია თქვენი დიდი საქველმოქმედო საქმიანობა. თქვენი შემწეობით მრავალი საერო, საქვეყნო წამოწყება დაგვირგვინდა სასიკეთოდ. მათ მორის არც ქართული წიგნის გამოცემისთვის დაგიკლიათ ხელი. რად ღირს, თუნდაც, დიდი მწერლის – ჭაბუა ამირეჯიბის შეიდგომეული; ოთხ გომად გამოცემული გურამ ასათიანის ნაწერები; გენო, რენე და ბაურ კალანდიების წიგნები და სხვა.

ჩვენ – გამომცემლობა „ნაკადულის“ თანამშრომლებს ძალიან არ გვინდოდა თქვენი შეწუხება, მაგრამ შეჭირვებული მდგომარეობა გვიბიძეკებს, მოგმართოთ დახმარების თხოვნით. მოგეხსენებათ, დღეს რა მძიმე მდგომარეობაში უნდა იყოს წიგნით ვაჭრობის იმედად დარჩენილი გამომცემლობა. მეტისმეტად გვიჭირს ხელფასის გაცემა, რადგან, თუკი რამ სახსარი გაგვიჩნია, ახალი ხუთი-ექვსი გამოსაცემი წიგნისთვისაც ვერ გაგვიწვდენია. ამ მიზეზით გამოუცემელი გვრჩება მრავალი მნიშვნელოვანი წიგნი, რომელთაგან, განსაკუთრებით, ერთმე გვინდა შეეგაზეროთ თქვენი ყურადღება. ესაა, თავის დროს, ფრიად თვალსაჩინო მოღვაწის, მხატვრის, პედაგოგის და ქართულიდან რუსულ ენაზე ილიასა და აკაკის ნაწერების მთარგმნელის – ლადო ჯაფარიძის „მოგონებები“. პიროვნების, რომელიც ძმასთან – გრიმა ჯაფარიძესთან ერთად მონაწილეობდა ლევ გოლსტოის დაკრძალვაში; ვინც პირადად შეხვედრია მაქსიმ გორკის, ვლადიმერ მაიაკოვსკის, ანაგოლ ფრანსს, თეოდორ შალიაპინს, კნუტ ჰამსურს და სხვებს. ვინც მეგობრობდა ნიკო ნიკოლაძესთან, დიმიგრი არაყიშვილთან, გრიგოლ რობაქიძესთან, იოსებ გრიშაშვილთან, ცისფერყანწელებთან; იმ დროის თითქმის ყველა გამოჩენილ მოღვაწესთან. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს წიგნი გიორგი ლეონიძის დაკინებული თხოვნით დაიწერა...

„მოგონებებს“ მსოფლიო სახელის მქონე მრავალ მოღვაწეთა ფოტოები დაამშვენებს, მათიეე ავტოგრაფები რომ ახლავს თან და ბაგონ ლადო ჯაფარიძეს უძღვნიან.

თქვენი შემწეობის შემთხვევაში, წიგნზე აღბეჭდილი იქნება სპონსორის ვინაობა...

წინასწარ ულრმეს მადლობას მოგახსენებთ და ეჭვიც არ გვეპარება, რომ თქვენი ამაგისთვის თავად მაღალი ღირსი მოგაგებთ სამაგიერო სიკეთეს.

„ნაკადულის“ თანამშრომელთა სახელით – გამომცემლობის დირექტორი ანზორ აბულაძეილი.



საღილი ყველას

შაბათს, 21 ივნისს „კათარზისში“ კვლავ ღია კარის დღეა. ყველას, ვისაც სურვილი აქვს ადგილზე გემრიელად დაპურდეს, 11-დან 17 საათამდე ვიწვევთ სათნოების სახლში (დავით აღმაშენებლის 121).

მოიყვანეთ თქვენი ოჯახის წევრები და მეგობრები (პროდუქტი ბინაზე წასაღებად არ გაიცემა).

ამჯერად თქვენი მასპინძელი იქნება ბადრი პაგარკაციშვილის საქველმოქმედო ფონდი.

ცნობებისათვის დაგვიკავშირდით 95-16-46 (11-დან 17 საათამდე შაბათ-კვირის გარდა).

განცხადება

ქ. თბილისში საცხოვრებელი სახლების დამიანებული სახურავებისა და ლიფტების აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოებზე ჩაგარებულ ღია ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა ექვსი ორგანიზაცია, რომლებთანაც გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულებები. მათ მორის: სახურავების აღგენაზე – კომპანია „თბილისი“, შპს „ბალავერი-99“, შპს „საძირკველი-91“, შპს „ამირანი“, შპს „მაქსერვისი“. ლიფტების აღდგენაზე – შპს „თბილლიფტი“.

კაპიტალური შეკეთებლობის საქალაქო სამსახური.

ᲫᲘᲓᲐᲝᲑᲐ

შეაჯამეს ნახევარი წლის შედეგები

2003 წლის სპორტული სეზონის სტარტიდანვე დაიწყო ბრძოლა ათეული 2004 წლის ბაფუნელის XXVIII ოლიმპიადის საგმურებისათვის. ზოგიერთმა ჩვენმა სპორტსმენმა უკვე გაანადგა ათენის ასპარეზობაში გამოსვლის უფლება. განსაკუთრებული ამოცანა დგას ბერძნულ-რომაული და თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა გუნდების წინაშე. ორივე ნაკრებმა სრული შემადგენლობით უნდა მიიღოს მონაწილეობა მომავალ ოლიმპიურ თამაშებში. სალიცენზიო შეჯიბრებად წლევანდელ სეზონში მსოფლიოს პირადგუნდური ჩემპიონატები მიიჩნიეს, სადაც I-X ადგილებზე გასული ფალავნები გაეშგზავრებიან ელადის დედაქალაქში.

ახლახან, საქართველოს ჭიდაობის ფედერაციამ სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის სხდომათა დარბაზში შეაჯამა ნახევარი წლის შუმაობის შედეგები. ჭიდაობის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯმა ომმარ მოშიგაშვილმა ისაუბრა 6 თვის შედეგების შესახებ. ამ პერიოდის განმავლობაში ქართველმა მოჭიდავეებმა 38 სხვადასხვა სინჯის, მათ შორის 17 ოქროს მედალი მოიპოვეს ევროპისა და სხვა საერთაშორისო ასპარეზობებზე.

გენერალურმა მდივანმა მადლობა გადაუხადა საქართველოს ოლიმპიურ ფონდს, სეოკის პრეზიდენტს ჯანო ბაგრატიონს, საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარეს ირაკლი მეძმარიაშვილს, ცნობილ მეცენატს ბადრი პაგარკაციშვილს, აგრეთვე, გიორგი მაკასარაშვილს, ვალერი გელაშვილსა და სხვებს, რომლებიც დიდ დახმარებას უწევენ ქართველ ფალავნებს.

საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა გოჩა ძასოხოვმა აღნიშნა, რომ უკანასკნელ პერიოდში მუშაობა გამოაცოცხლეს ქვეყნის მთელმა რიგმა რეგიონებმა, რომელთა შორისაც არიან ქუთაისის (თავმჯდომარე თემურ აფხაზავა), ქვემო ქართლის (თავმჯდომარე კობა ლოჩინაშვილი) და სხვა ფედერაციები.

ირაკლი მეძმარიაშვილმა თხოვნით მიმართა ქართველ სპორტსმენებს, რომ არ ჩაერიონ პოლიტიკურ პარტიათა ბაგალეებში, აკეთონ თავიანთი საქმე, დაეხმარონ თავიანთ მომმეებს. მან დიდი მადლიერებით მოიხსენია ქვეყნის პრეზიდენტი, რომელიც ოპერაციულად ეხმარება პრობლემების მოგვარებაში.

საინტერესო იყო სეოკის პრეზიდენტის, პარლამენტის წევრის ჯანო ბაგრატიონის გამოსვლაც, რომელმაც ისაუბრა პარლამენტარი სპორტსმენების მხარდაჭერის თაობაზე.

თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს საქართველოს დამსახურებულმა მწერთნელებმა ჯონი რეხვიაშვილმა, მარლენ ოსეფაშვილმა, მსოფლიო ჩემპიონებმა – გურამ საღარაძემ, მიხეილ სალაძემ და სხვებმა.

დასასრულს გოჩა ძასოხოვმა 1500-1500 ლარით დაჯილდოვა ევროპის 2003 წლის ჩემპიონები რამაზ ნოშაძე, რევაზ მინდორაშვილი, ბრინჯაოს პრიზიორებს მუხრან ვახტანგაძეს, აღექსანდრე მოდებაძეს და მთელ რიგ მწერთნელებს გადაეცათ სხვადასხვა რაოდენობის ფულადი პრემიები.

ᲖᲐᲚᲕᲐ ᲫᲘᲠᲘᲐ.

სურათზე: სხდომათა დარბაზში.

რობერტ ბაგრიანის ფოტო.

გამარჯვება ერევნის ხალიჩაზე

22-29 აგვისტოს საგამოლიოს (თურქეთი) სპორტის სასახლეში გაიმართება მსოფლიოს 2003 წლის პირად-გუნდური პირველობა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ახალგაზრდების შორის. მასში მონაწილეობას მიიღებს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებიც, რომლის მთავარი მესაზე გახლავთ საქართველოს დამსახურებული მწერთნელი ვლადიმერ ალეიშვილი. ახლახან ჩვენი ახალგაზრდული ნაკრები ერევანში 8 ქვეყნის გუნდების საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობდა და წარმატებითაც. გთავაზობთ ვლადიმერ ალეიშვილის შთაბეჭდილებებს ერევნის ტურნირის შესახებ.

– სომხეთის დედაქალაქის ხალიჩაზე გამართული საერთაშორისო ტურნირი მსოფლიო პირველობისთვის შესარჩევი იყო. მასში სხვადასხვა ქვეყნის 120 ახალგაზრდა მოჭიდავე გამოდიოდა.

ვიდრე გამარჯვებულებსა და პრიზიორებს გაგაცნობდეთ, მინდა მადლობა გადავუხადო საქართველოს სპორტის დეპარტამენტისა და ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის ხელმძღვანელობას, რომელთა მხარდაჭერასა და თანადგომას ყოველ ნაბიჯზე ვგრძნობდით.

ერევანში სასახარეზოდ 13 მოჭიდავე ჩავიყვანეთ, რომელთაგან 9 სამშობლოში სხვადასხვა სინჯის მედლით დაბრუნდა. ოქროს მედლები მოიპოვეს ბათუმელმა ომარ ბაკურაძემ (66 კგ.), თბილისელებმა ბექა ყარყარაშვილმა (74 კგ.), გივი მორჩილაძემ (96 კგ.) და ოზურგეთელმა რევაზ ჭელიძემ (120 კგ.). ვერცხლის მედლები გადაეცათ ბათუმელ მალხაზ სოლომონიძეს (50 კგ.) და ოზურგეთელ ლევან ნურბაბანს (66 კგ.). ბრინჯაოს მედლის მფლობელები გახდნენ თბილისელი რამინ უნგიაძე (55 კგ.), ბათუმელები დავით ბედინაძე (60 კგ.), რამაზ დევაძე (96 კგ.). საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილზე გავიდა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები, მეორეზეა სომხეთის, ხოლო მესამეზე – ირანის გუნდი.

ᲗᲝᲜᲘᲐ ᲫᲝᲠᲘᲫᲔ.

ᲗᲝᲜᲘᲐ

ახლახან „ქართველების“ სპორტკომპლექსში უმასპინძლა საქართველოს თასის გათამაშებას ბავშვთა და ჭაბუკთა შორის ფეხბურთში. სპორტის ამ სახეობის ეროვნული ასოციაციის (პრეზიდენტი – ბრმაზ ცაპუა) მიერ ორგანიზებულ ასპარეზობაში ორივე ასაკობრივი ჯგუფის 10-10 გუნდი მონაწილეობდა.

უმეტოსია გურნირის ფინალში 35-ე საფეხბურთო სკოლის გუნდები „თბილისი“ (მწერთნელი სოსო სირბილე) და „ვაკე“ (მწერთნელი ვახტანგ ბაქანიძე) გავიდნენ. აღსანიშნავია, რომ ისინი ქვეჯგუფშიც მეხვდნენ ერთმანეთს და მაშინ „ვაკემ“ იმარჯვა – 3:2. ამჯერად მეგოქემ „ვაკე“ (მწერთნელი ვახტანგ ბაქანიძე) გავიდნენ. აღსანიშნავია, რომ ისინი ქვეჯგუფშიც მეხვდნენ ერთმანეთს და მაშინ „ვაკემ“ იმარჯვა – 3:2. ამჯერად მეგოქემ რევანში პენალტებით აიღო – 4:3 (ძირითადი დრო 1:1) და საპაგიო ჯილდოს მფლობელი გახდა.

სამაგიეროდ, 35-ე სკოლის აღსაზრდელებმა (მათაც ვახტანგ ბაქანიძე ავარჯიშებთ) ყველას უფროსებში აჯობეს. ფინალში ამ გუნდმა 12:7 სძლია ქვეყნის თანაგლობა ნაკრებს „იმედს“ (მწერთნელები ლევან გრიგოლია და პეტრე თაბაგარი). სხვათა შორის, თასის გათამაშების საკრაგზე – 26 მაისს ეს წყვილი ერთმანეთს ქვეჯგუფში დაუპირისპირდა და წარმატებას იმ მაგჩმი ნაკრებმა მიაღწია – 7:3.

სურათზე: საქართველოს თასის მფლობელი 35-ე სკოლის ჭაბუკთა გუნდი: (მარცხნიდან) I რიგში – ერეკლე ბაგუა, ნიკა ჭინჭარაძე, ავთო კეკელიძე, გიორგი წურწუმია. II რიგში – ლევან ბაღანაშვილი, ზაზა ბურჭულაძე, აკაკი კეკელიძე, ირაკლი სარჭვეანიძე და მწვრთნელი ვახტანგ ბაქანიძე; ბავშვთა გუნრინის ფინალისტი – „ვაკე“: (მარცხნიდან) I რიგში – გიორგი შელექიშვილი, ბაჩო ქუთათელაძე, დავთო ნადირაშვილი, ნიკა ჯანგავაძე, ზაზა გურული. II რიგში – თორნიკე ნადირაძე, მწვრთნელი ვახტანგ ბაქანიძე, გიორგი კვაჭაძე, ზაზა თელია, ერეკლე ამაშუკელი, გიორგი შელექიშვილი, ედგარ ჩობანიანი და ლაშა ცვანია.

35-ე სკოლელთა „დუბლი“

უმეტოსია ბურნირის ფინალში 35-ე საფეხბურთო სკოლის გუნდები

ᲫᲐᲓᲠᲐᲙᲘ

ზურაბ აზმაიპარაშვილი ერთპიროვნულად დაწინაურდა

სტამბოლში ევროპის მოჭადრაკე ქალ-ვაჟთა ჩემპიონატების დამთავრებამდე ოთხი ტურიღა დარჩა. გუშინ შეჯიბრების მონაწილენი ისვენებდნენ. სასიამოვნოა, რომ დღეს მე-10 ტურში ვაჟთა პირველ მაგიდას მიუჯდება ქართველი დიდოსტატი, ფიდეს ვიცე-პრეზიდენტი ზურაბ აზმაიპარაშვილი, რომელმაც შედიზედ რამდენიმე პარტია მოიგო და 9 ტურის შემდეგ 7 ქულით ერთპიროვნულად დაწინაურდა. იგი თეთრი ფიგურებით რუსეთელ კონსტანტინ საკაევს შეხვდება, რომელიც ლიდერს ნახევარი ქულით ჩამორჩება, ისევე, როგორც ალექსანდრ გრიშჩუკი, კირილ გეორგიევი და ალექსეი ალექსანდროვი.

გაეწყვნი საქართველოს მოჭადრაკე ქალ-ვაჟთა წინა ორი ტურის შედეგებს: **ᲞᲐᲠᲢᲘᲐ. VIII ტური.** ფეგაჩნიკი – აზმაიფარაშვილი 0:1, ალექსეევი – მჭედლიშვილი 0,5:0,5, შნეიდერი – გაგუნაშვილი 0:1, იშორია – კუპრეიჩიკი 0:1, ყაჭეიშვილი – ყუდლიევი 1:0, ჯობავა – სულიპა 0,5:0,5, მასგროვასილისი – სტურუა 0:1. **IX ტური.** მალახოვი – აზმაიფარაშვილი 0:1. გაგუნაშვილი – ფეგაჩნიკი 0,5:0,5, მჭედლიშვილი – ნაიერი 0,5:0,5, კუპრეიჩიკი – ყაჭეიშვილი 0:1, სტურუა – პელეგიერი 0,5:0,5, პეტერსენი – იშორია 0,5:0,5, პოგორელოვი – ჯობავა 0,5:0,5.



ამდენად, 9 ტურის შემდეგ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აზმაიფარაშვილს 7 ქულა აქვს და დღეს საკაევს შეხვდება. დანარჩენ წყვილებში ითამაშებენ: ყაჭეიშვილი (5,5 ქულა) – მაჩეია, მოისეენკო – გაგუნაშვილი (5,5), სმირნოვი – მჭედლიშვილი (5,5), სტურუა (4,5) – მამედიაროვი, იშორია (4) – სულუპა, ძაკაეკი – ჯობავა (4).

ᲥᲐᲚᲔᲑᲘ. VI ტური. ლომინეიშვილი – კახიანი 0,5:0,5, ხურციძე – მათნაძე 0,5:0,5, გაპონენკო – ძაგნიძე 0:1, ჯინგაროვა – არახამია 1:0, პეტეი – ტყეშელაშვილი 0,5:0,5, ალექსანდროვა – ლაჩრავა 1:0, სედინა – გვეგაძე 1:0, ველჩევა – ჯავახიშვილი 0,5:0,5, პაპანდოპულო – გაფრინდაშვილი 0:1, ჰაგესაიტერი – ჯანჯღავა 0,5:0,5. **VII ტური.** ძაგნიძე – მაგვეევა 0,5:0,5, კოვალევსკაია – ლომინეიშვილი 1:0, კახიანი – იონესკუ 1:0, სოცკო-ხურციძე 0:1, მათნაძე – შელინსკა 1:0, ტყეშელაშვილი – გაპონენკო 0:1, არახამია – ფახირადი 0,5:0,5, ჯავახიშვილი – მაკოროპულო 1:0, გაფრინდაშვილი – ანდერსონი 1:0, ლაჩრავა – სტერი – 1:0, გვეგაძე – ჰაგესაიტერი 0,5:0,5. ჯანჯღავა – ჯიერეთონი 0,5:0,5.

ქალებში შვიდი ტურის შემდეგ 6,5 ქულით, ასევე, ერთპიროვნულად ლიდერობს ალისა გალიამოვა. მას ქულით ჩამორჩებიან ანგუანეგა სტეფანოვა (VIII ტურში სწორედ ისინი ხვდებიან ერთმანეთს), ოლგა მიმინა, ვიქტორია ჩმილიგე და ელმირა სკრიპჩენკო. 12 მოჭადრაკეს 5-5 ქულა აქვს, მათ შორის საქართველოს წარმომადგენლებიც არიან. უმთავრესად, ეს მოჭადრაკეები იბრძოლებენ იმ 17 საგზურისთვის, მსოფლიო ჩემპიონატაში თამაშის უფლებას რომ იძლევა (ვაჟებში 39 საუკეთესო დაიმსახურებს ლიცენზიას).

გაეწყვნი VIII ტურში ქართველთა მეგოქეების ვინაობას: მაგვეევა-ხურციძე (5 ქულა), მათნაძე (5)-კახიანი (5), პრულნიკოვა-ძაგნიძე (5), შელინსკა-ჯავახიშვილი (4), ლომინეიშვილი (4)-გაფრინდაშვილი (4), ლაჩრავა (3,5)-პოკორნა, ველიხანლი-არახამია (3,5), ტყეშელაშვილი (3,5)-სტეპოვაია, გვეგაძე (3)-ბურჩან მამედიაროვა, ხარამკინა-ჯანჯღავა (3).

ᲕᲐᲟᲐ ᲓᲐᲜᲔᲚᲘᲐ.

8-დან 28 ივლისამდე, ბათუმში...

სამი წლის წინათ აჭარის დედაქალაქმა შავი ზღვის აუზის ქვეყნების ქალთა პირველ ჩემპიონატს უმასპინძლა. იქიდან მოყოლებული, ეს შეჯიბრება ყოველწლიურად იმართება. უფრო შეგიც, 2001 წლის 18 ივნისიდან 12 ივლისამდე ბათუმის შესანიშნავ ჭადრაკის სასახლეში შავი ზღვის საჭადრაკო ფესტივალიც მოეწყო, რომლმაც ხუთი დამოუკიდებელი ასპარეზობის გაიერთიანა: 8-დან 16 წლის ბათელიონ ასაკის მოჭადრაკეთა პირველობები, შავი ზღვის ღია საჭადრაკო ჩემპიონატები ქალთა და ვაჟთა შორის, „შემედ აბაშიძის შემორიალი“, ბლიცტურნირი „ადორძინების“ თასზე და საჩვენებელი მაგრები უძლიერესი დიდოსტატების მონაწილეობით.

საჭადრაკო ფესტივალს განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა იმ ფაქტმა, რომ ფიდეს თავეკაცმა კირსან ილუმჟინოვმა საპრეზიდენტო ნომინანტის ერთი ადგილი გამოყო ვაჟთა მორის გამარჯვებულისთვის. მამინ საერთაშორისო ოსტატმა ხვიჩა სუპაკაშვილმა 7,5 ქულით პირველი ადგილი დაიკავა და მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის უფლებაც მოიპოვა...

შავი ზღვის წლევანდელი საჭადრაკო ფესტივალი, რომელსაც ბათუმი მესამედ უმასპინძლებს 8-დან 28 ივლისამდე, იმითაც არის საგულისხმო, რომ სოლიდურ ფუღად პრიზებთან ერთად ვაჟთა შორის გამარჯვეებული, კვლავ ფიდეს პრეზიდენტის ძალისხმევით, მსოფლიო ჩემპიონატის საგზურს დაიმსახურებს, რაც ბათუმურ ბაგალიებს დაძაბულობას და ინტერესს შემატებს.

ფესტივალის საპრიზო ფონდიდ 35 ათასი ლარი. ასაკობრივი პირველობებისთვის (8-15 ივლისი) 6 ათასი ლარია გამოყოფილი. შავი ზღვის აუზის ქალთა და ვაჟთა შორის გამარჯვებულნი (15 ვაჟი, 10 ქალი, 16-25 ივლისი) და პრიზიორები 20 ათას ლარს გაინაწილებენ, შემედ აბაშიძის მემორიალზე (26 ივლისი) 6 ათასი, ხოლო „ადორძინების“ ბლიცტურნირზე (27 ივლისი) 3 ათასი ლარი დაიხარჯება.

ყველა გამარჯვებული და პრიზიორი შესაბამისი ხარისხის დიპლომით და მედლითაც დაჯილდოვდება.

ᲕᲐᲟᲐ ᲜᲝᲡᲘᲠᲔᲚᲘ.

ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ

ვის შეხვდება ლენოქს ლუისი?

ამას წინათ გაეცნობეთ, რომ 21 ივნისს გაიმართებოდა მსოფლიო ჩემპიონის ლენოქს ლუისის ბრძოლა კირკ ჯონსონთან. მაგრამ, როგორც ცნობილი გახდა, ამჯერად ბრიტანელი ამჯობინებს უკრაინელ მოკრივესთან ვიტალი კლიჩკოსთან შეხვედრას იმავე ვადებში, წლის ბოლოსათვის კი დაგეგმება მისი ორთაბრძოლა როი ჯონსთან.

როგორც Assosaited Press-თან ინტერვიუში თავად ლუისმა განაცხადა, მას ნამდვილად უნდა უკრაინელთან ბრძოლა, რაც, მისი აზრით, დიდებული საჩუქარი იქნება ლოს-ანჯელესისათვის.

შეგახსენებთ, რომ ბრიტანელი მსოფლიო ჩემპიონის ბრძოლა კლიჩკოსთან დაგეგმილი იყო წლის ბოლოსათვის, მაგრამ ჯონსონის გრავმამ ყველაფერი შეცვალა.

თავად ჯონსს 1 ნოემბრისათვის დაგეგმილი ჰქონდა ბრძოლა ნიუ-იორკში პოლიფიდთან. მაგრამ, როგორც ჯონსი აღიარებს, ის ამჯობინებს რინგზე ლუისთან მეხვედრას და, თუკი პრომოუტერები ამაზე შეთანხმდებიან, მამინ ევანდერი საერთოდ ამოიროცხება მეგოქეთა სიიდან.

ᲞᲔᲠᲔᲠᲝᲡ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲪᲠᲔᲛᲚᲔᲑᲘ

**ᲨᲔᲜᲘ ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲨᲘ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲓᲘᲐ ᲩᲔᲛᲠᲘᲝᲜᲐᲒᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲐᲒᲩᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲓᲐᲑᲠᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲒᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲣᲬᲘᲡ ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲗ ᲓᲐᲬᲧᲝ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ. ᲔᲡ ᲛᲝᲜᲐᲠᲗᲔ ᲡᲐᲛᲘᲡᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ

საქართველოს რესპუბლიკა
№ 150, სამშაბათი, 10 ივნისი, 2003 წელი.

ალბომი

ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



1964 წელს თეთრ წყაროში შეიკრიბენ სხვადასხვა ქვეყნის კოოპერატორები.

მონაწილეთა ერთი ჯგუფი, მარცხნიდან – პაიკ ასრიეევი, ჯუმბერ მაღლაფერიძე, შალვა ბურდული, გეფლას ბრეიევ და დავით მაჩაიძე.

სურათი მოგვაწოდა მარიკა ლაგვილაშვილმა.

გავუთბოთ ერთმანეთს გულები...

„ბესტსელერის“ საჩუქარი

— დიდი სიხარულია ბავშვთა სახლის აღსაზრდელებისათვის ნებისმიერი სტუმრის გამოჩენა, ერთი უნდა ნახოთ, რა ხალისით ემზადებიან, რა გაგაცებით მუშაობენ საკონცერტო ნომრებზე... ორმოცდაათამდე ბავშვი გვყავს, სხვადასხვა ასაკის და ყველა მთაგანი დიდი სიხარულით ჩაებმება სოლმე საღდესასწაულო მზადებაში... სტუმრის მოსვლა მათთვის, მართლაც რომ, დღესასწაულია, — ამბობს ბავშვთა „მომავლის სახლის“ დირექტორი ცირა ლანჩავა.

ამ ცოცხ ხნის წინათ კი ავლაბარში განთავსებულ ჩვენს ბავშვთა სახლში მართლაც დიდი სტუმრიანობა იყო: ერთდროულად ორი ორგანიზაციის „მედია პოლდინგ-ჯორჯიან თაიმსისა“ და წიგნის მოყვარულთა კავშირ „ბესტსელერის“ წარმომადგენლები გვეწვივნენ. მათ მოსვლას 47-ე სამუალო სკოლის მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მათი მშობლების სტუმრობაც დაემთხვა. „მომავლის სახლის“ აღსაზრდელებმა სტუმრებს, მართლაც, მთამბეჭდავი წარმოდგენა გაუმართეს.

— ბედნიერი ვარ, რომ მომეცა შესაძლებლობა, შევხვედროდი ამ შესანიშნავ ბავშვებს, ისინი საზოგადოებამ გარიყა, მაგრამ, საბედნიეროდ, არსებობს სახლი, სადაც ისინი ცხოვრობენ და სადაც მათ უვლიან, — აღნიშნა აქ სტუმრად მყოფმა მწერალმა მიხო მოსულიშვილმა, რომელმაც წიგნის მოყვარულთა კავშირის — „ბესტსელერის“ კონკურსზე პირველი პრემიით აღნიშნული თავისი წიგნი „უკამო ქამის რაინდი“ ავგორისეული ავგოგრაფებით საჩუქრად ჩამოურიგა „მომავლის სახლის“ აღსაზრდელებს და პედაგოგებს.

განსაკუთრებული სიხარულით მიიღეს ბავშვებმა გემოვნებით შერჩეული დიდი რაოდენობის მხატვრული ლიტერატურა, რომელიც ფირმა „ბესტსელერის“ დირექტორმა ვალერი ჯინჭარაძემ „მომავლის სახლის“ ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცა.

— საჩუქარი მცირედია, მაგრამ მაინც ძალიან კმაყოფილი დავრჩი, რადგან ვიგრძენი, რამოდენა სიხარულს ანიჭებს ამ ბავშვებს მათდამი გამოჩენილი მცირედი ყურადღებაც კი, — გვითხრა ვალერი ჯინჭარაძემ, დაბოლოს, ისიც დაუმატა — კარგი იქნებოდა, ყველას მოეცალა ამ ბავშვებისთვისო.

შორენა ჯავახიშვილი.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყოს 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.

სულთათანა

შუქურა კოტრიკაძე

ჩაქრა შუქურას ნათელი, გადგებიდა სულეთში ჩვენი შუქურა კოტრიკაძე — ჩინებული ჟურნალისტი, გულისხმიერი, გულმხურვალე ქალბატონი, დაგვემშვიდობა კიდევ ერთი შესანიშნავი XX საუკუნელი, რომელიც თითქმის 45 წელიწადი ქართულ ჟურნალისტიკას, ქართულ სიტყვას ემსახურა — გაბეთ „სოფლის ცხოვრებაში“ დაიწყო მოღვაწეობა, აქ მოიპოვა პრინციპული, სიმართლის მოქმელი ჟურნალისტის სახელი და აქვე გასრულდა მისი მწიფობისთვე — სიკვდილის წინა დღესაც კი იგი მასალას ამზადებდა თავისი საყვარელი გაზეთისათვის.

რა უნდა ვთქვათ?

იგი იყო სანპეთსაოს საამაყო ოჯახიშვილი, მშობელი კუთხის — საგარეჯოს, ხამშის უმზო სიყვარულს მაგარებელი.

იგი იყო გულითადი მეგობარი — უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილების 1958 წლის კურსდამთავრებულ ქალ-ვაჟებში სიცოცხლის სალისით გამორჩეული, სულ სასენათელი, თუმცა ცხოვრებამ სადარდებელი არ დაკლო.

იგი იყო ყურადღებიანი, საუკეთესო მეგობელი, მარგოსელობაშ რომ ვერ გააბოროგა, პირიქით — სიკეთე არავისთვის დაუკლია...

შუქურა კოტრიკაძის — ჟურნალისტისა და მოქალაქის ყოველდღიური საფიქრალი თავისი სათაყვანებელი საქართველო იყო, მის უკეთეს დღეებზე ოცნებობდა, გულს უკლავდა თანამოძმეთა გაუთავებელი ქიშპი.

იგი ზხოლოდ თავის თავს არ მოპკვდომია. ასეთი ადამიანები ქვეყანას უკვდებიან და გულში ნაღველს გვიტოვებენ, წუთისოფლის ამაოებაზე ჩაგვაფიქრებენ...

სულ ნათელ-შუქმა გაგიშუქოს საიქიო, ჩვენო მეგობარო შუქია, ღმერთმა შენი სული აცხონოს, ჯვარი გეწეროს!...

ნათესავები, მეგობრები, კოლეგები, მეგობლები.

ღიმილის დოზა

ავადმყოფი:

— ოპერაციას ანესთეზიით ჩამიტარებთ?

— რა თქმა უნდა. ანესთეზია პეტროვნა, გააკავეთ ავადმყოფი...

* * *

— ჩემო კარგო, ჩვენი მოსამსახურე ამბობს, რომ შენგან ფეხმძიმედ არის.

— ტყუილია! ვერც ერთი ექიმი ვერ დამტკიცებს ამას სამი დღის შემდეგ.

* * *

დღის ახალი ამბები: დღეს თურქმენეთის პრეზიდენტის ოჯახში დაიბადა თურქმენეთის მომავალი პრეზიდენტი.

* * *

— დედა, წარმოგიდგენია, დღეს, სკოლაში შესვენებაზე ვოვოჩკამ ტუჩებში მაკოცა!

— აი, უბედურებ! როგორ მოხდა, მითხარი...

— იოლი არ იყო, მაგრამ სამი მეხანძრე დამეხმარა და გააკეთა ვოვოჩკა.

* * *

თუ გახდომა გსურთ, უნდა გაშიშვლდეთ, დაჯდეთ სარკის წინ და შეექცეთ მორთმეულ კერძს.

ეს მეთოდი უაღრესად ეფექტიანია: თქვენ დაუყოვნებლივ გაგაძევებენ რესტორნიდან.

ფიგნის

V ფესტივალის წინ

„თანავარსკვლავედი“, იმედია, გაბრწყინდება

(პირველი გვერდიდან)

მასზე გამომცემლობის დიდი ჯგუფი მუშაობდა. მისახვედრი მიზეზის გამო ჩვენ მოგვიხდა, მარგო შევეხებოდით ამ საპაგიო საქმეს. თუკი ჩვენი წამოწყება მკითხველი საზოგადოების მხრივ სასურველ სულისკვეთებასა და თანადგომას პპოვებს, თუკი, როგორც ჯანსული იგყოდა, „შინაგანად მომწიფეული საზოგადოებრივი აზრი არ დაუშვებს დღესვე მოსაგვარებელი საქმეების სახვალიოდ გადადებას“, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ „თანავარსკვლავედის“ გამოცემა გასრულდება და იგი მიეძღვნება ჯანსულ ღვინჯილიას ხსოვნას.

— თანადგომაში თქვენ, ცხადია, ფინანსებსაც გულისხმობთ...

— რა თქმა უნდა. აი, მაგალითად, ეს კრებული რომ გაიყიდოს და გამომცემლობაში ცოცა ფული შემოვიდეს, უკვე შეიძლება დანარჩენი გოიმების გამოცემაზე ფიქრი. მე იმედს ვიტოვებ, რომ საქართველოში ჭეშმარიტი ლიტერატურის ფასი ჯერ კიდევ იცინან და „თანავარსკვლავედი“ უყურადღებოდ არ დარჩება.

გასტროლი

დიდი ხნის პაუზის შემდეგ

რეპერტუარის სამ საუკეთესო დადგმას უწევენებს ქართველ მაყურებელს სომხეთის გბრიელ სუნდუკიანის სახელობის ეროვნული აკადემიური თეატრი, რომელიც დღეს, სტადმოს, მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სცენაზე გასტროლებს სსნის გრსსიი ლორკას პიესით „ბერნარდა ალბას სახლი“. 11 ივნისს დასი გაითამაშებს ტენესი უილიამსის პიესას „ტრამვაი სურვილი“, 12 ივნისს კი ანგონ ჩეხოვის „ალუბლის ბაღს“.

ლამის სამ ათეულ წელზე მეტი გავიდა, რაც სომხეთის ეს თეატრი თბილისში არ ყოფილა. ამ მოღვაწეობასთან დაკავშირებით გუშინ საქართველოს კულტურის სამინისტროში გაიმართა ჟურნალისტების შეხვედრა თეატრის შემოქმედებით კოლეგიასთან, რომელსაც 1996 წლიდან სათავეში ჩაუდგა სომხეთის სახალხო არტისტი ვაგე შახვერდიანი. ისინი ჟურნალისტებს წარუდგინა საქართველოს კულტურის მინისტრმა სესილი ფოგიბერიძემ.

პრესკონფერენციაზე აღინიშნა, რომ ამჟამინდელი გასტროლი შესაძლებელი გახდა საქართველოსა და სომხეთის კულტურის სამინისტროების ურთიერთთანამშრომლობით, აგრეთვე, საქართველოში სომხეთის ელჩის გიორგი ხოსროევის და სომხეთის პირველი ლედის ბელა ქოჩარიანის დიდი მოწადინეობით. ითქვა ისიც, რომ უახლოეს სანებში მოსალოდნელია სომხეთის პრეზიდენტის რობერტ ქოჩარიანის ვიზიტი საქართველოში და ეს ფაქტი მესაფერის გარემოსა და ფონს ქმნის ამ ვიზიტისათვის.

თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ვაგე შახვერდიანმა ბრძანა, რომ ამჟერად დასი სომხური კლასიკის გარეშე ჩამოვიდა თბილისში, რადგან მარჯანიშვილელთა სცენა პატარა აღმოჩნდა მათი რეპერტუარის ერთ-ერთი საუკეთესო დადგმის (ლევონ შანგის „ძველი ღმერთები“) საჩვენებლად. მაგრამ ამის მიუხედავად, ეს სამი საგასტროლო სპექტაკლი მაინც წარმოაჩენს თეატრის სახეს. ლევონ შანგის შემოქმედებითი ცხოვრებიდან მან გაიხსენა დიდი ხნის პაუზის შემდეგ შარშანდელი წარმატებული გასტროლი მოსკოვში, აგრეთვე, ირანისა და თურქეთის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალებში მონაწილეობა, სადაც სპექტაკლ „ბერნარდა ალბას სახლს“ გრან პრი მიეკუთვნა. მიუხედავად იმისა, რომ ვაგე შახვერდიანის რეჟისორულ ხელწერას თბილისელები კარგად იცნობენ, არაერთხელ ყოფილა კოროვკანის თეატრთან ერთად, რომლის სამხატვრო ხელმძღვანელიც იყო ადრე, იგი ახლა ძალიან ღელავს, ამ თეატრის კოლექტივთან ერთად პირველად წარსდგება ქართველი მაყურებლის წინაშე და ეიმედება აქაური მაყურებლის ყურადღება, რადგან კარგად იცნობს მის გემოვნებას და ფაქიზ დამოკიდებულებას თეატრალური ხელოვნებისადმი. საგულისხმოა, რომ სპექტაკლები სინქრონულად ითარგმნება (რუსულად).

თბილისში თეატრი მთელი თავისი შემადგენლობით ჩამოვიდა, მათ შორისაა სომხური თეატრის ძველი თაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი ვარტენ ვარტერსიანი, იგი ჩეხოვის „ალუბლის ბაღში“ რანევსკაიას სახეს ქმნის.

რუსუდან მუსიბულაშვილი.

ვერნისაჟი

„გაზაფხული“ ცისფერ გალერეაში

საქართველოს სურათების ეროვნულ გალერეაში კულტურის სამინისტროსა და მხატვართა კავშირის თაოსნობით საგანგებოდ გამოფენა გაიხსნა. აქ წარმოდგენილია ოთხეული ბეჭედი 150 მხატვრის 350-მდე ნამუშევარი. მრავალფეროვან ექსპოზიციაში შეხვდებით ფერწერას, ქანდაკებას, გრაფიკას, გამოყენებით ხელოვნებას (კერამიკა, ფარდაგი, გობელენი, მცირე პლასტიკა).

გამოფენას ამშვენებს საქართველოში და არა მარტო ჩვენთან საყოველთაოდ აღიარებული მხატვრების ზაალ ბაჩანაშვილის, ჯემალ კუხალაშვილის, ილია პაკგამურის და სხვათა ნამუშევრები.

ზაალ ბაჩანაშვილი ამბობს, მხატვრის შემოქმედებაში და საკუთრად ჩემში, მთავარია მხატვრული ღირებულება, იდეური მხარე და მაღალი პროფესიონალიზმი. ამის საფუძველი კი არის სულიერება, რისი არც სწავლა შეიძლება, არც დაკარგვა. ეს მხოლოდ ღმერთისგან მოდის, ეს არის ჩემი ბედისწერაც.

მართლაც რომ, ამ ღირსებას გამოხატავს ზაალ ბაჩანაშვილის ფერწერული ნიმუშები: „წითელი პარაკვეი“ და ორი პორტრეტული ტილო.

თემო ბოსაძე, საქართველოს სახალხო მხატვარი: — ზაალ ბაჩანაშვილის სახელი, დიდი ხანია გასცდა საქართველოს ფარგლებს, მისი ხედვა განმზოგადებულია, ფერადოვანი პალიტრა ლიაა და მონოქრომული განსხვავებით კონტრასტული ფერადოვანი ფერწერისაგან. ეს მონოქრომული კონტრასტული ფერწერა ძალიან დრამატული და ემოციურია.

ლადო ბამბახიძე, მხატვარი: — ილია პაკგამურიც აღიარებული მხატვარია. იგი სამხატვრო აკადემიის ფერწერის კათედრის პროფესორია. პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ დიდი მუხტი, რაც ამ მხატვრის ფერწერიდან მომდინარეობს, ემოციით არის სავსე, იგი კოლორიტული მიმდინარეობის ფერმწერია და სწორედ ამ ფერთა სიუხვე და ფერთა დამორჩილებაა ამ მხატვრის ძირითადი ნიმანი. მისი პალიტრა კი არაჩვეულებრივად მდიდარია, მთავარი მიზანი კი — როგორ დაიმორჩილოს ფერი. მისი გრძნობა დაკავშირებულია ფერთან და სწორედ ამიგომ არის გამორჩეული.

ისპარ ბრბიერიშ, მხატვართა კავშირის მდივანი, გამოყენებითი სექციის თავმჯდომარე: ნარგიზ კვანგალიანმა ბოლო წლების განმავლობაში დიდი ნაბიჯები გადადგა ბაგეკის დარგში. იგი ბაგიკის იმ დონის წამყვანი სპეციალისტია, რომ საკუთარი გექნოლოგია შეიმუშავა. ამაზე მეტყველებს მისი „გაბაფხული“ და „ზემოდგომა“.

ფერთა ყლერადობით, დრამატიზმით, დეკორატიულობით, მინაგანი სულიერებით და სითამამით გამოირჩევა თვითნასწავლი და ახალგაზდა მხატვრის გიორგი წიკლაურის ფერწერული გილოები.

საგაზაფხულო გამოფენის გახსნის დღეზე საზეიმოდ დაჯილდოვდნენ მარმანდელ სამობაო გამოფენაზე გამარჯვებულნი. გრან პრი გადაეცა მხატგარ გია იამვილს, რამდენიმე მხატგარს — პირველი, მეორე და მესამე ხარისხის დიპლომები.

იზა ჭაბაშვილი,

სურათებზე: ჯემალ კასრაძის და ზურაბ დათუაშვილის ფოტორეპროდუქციები.

ტელევიზია — სამშაბათი, 10 ივნისი

07.30 ალიონი **09.45** მულტსერიალი "დაკარგული სამყაროს თავგადასავალი" **10.10** დოკ. სერიალი "ხელოვნების საცნობარი" **10.25** მხ. ფილმი **"სამკვიდროს ეპიზოდი"** **12.00, 15.00, 20.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი **"ბედნიერება"** **13.00** ნაშუადღევის **14.05** ლერერი შოუ **15.15** მხ. ფილმი **"ბედნიერ ფინალი"** **16.45** ტელესერიალი **"ძალიან ფინალი"** **17.05** შემეცნებითი ფილმი "ქვეყანა, ქვეყნები" **17.30** საქართველო და გარე სამყარო **18.00** ვიტენიკი **18.20** დოკ. სერიალი "აფრიკის ბუნება" **18.30** ბასტი-ბუფუ **18.50** უკრა